


K 5.713
3


ეროვნული
ბიბლიოთეკა

5714.

ქუთაისის ამხანაგების გამცემს.
№ 23.

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
კავშირების
მინისტროს
საბიბლიოთეკო



ქუთაისი

მ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილების სტამბა.



~~8-34~~

899.962.1-32

ზარხბიბლის ხელმწიფის ქალი


(სლაზარი)

ნიმუ. ნაკაზიძისა.

ჩა. 713
3

საპუბ-2000
საქართველოს
საქართველოს

საქმე- ფურცელი	3576
კუთხე ან თარიღი	
კუთხე	5712



ქუთათისი

ძ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ქუთათისის განყოფილების სტამბა.

წარაბიბილის

ხელმწიფის ქალი

I.

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. შავდა ერთი ვაჟი და სამი ქალი. როცა კვდებოდა, დაიბარა ვაჟი და უთხრა:

— შვილო, მე ვკვდები, მაგრამ შენ ნუ იღარდებ. განგებას ასე დაუწყებია, რომ მშობელი კვდება და შვილი რჩება. მხოლოდ ჩემი სათხოვარი ესაა, კერას ნუ გააცივებ და დებს უპატრონე. ვაჟმა პირობა მისცა: ერთსაცა და მეორესაც შეგისრულებო.

ბაბი მოკვდა. შვილებმა დამარხეს მამა და იწყეს ქობში უმამოთ ცხოვრება. ვაჟი დადიოდა სარჩო-საბადებლის საშოვრათ, დები კი ოჯახობდნენ. ბერა მუდამ გაჩაღებული იყო და ვაჟს უხაროდა, რომ მამის სურვილს ასრულებდა.

მართხელ, როცა ტყიდან შინ დაბრუნდა, არც ერთი და აღარ დაუხვდა. ისინი გაიტაცეს ბაჟან დევმა, ზველვეშაპმა და მრბმა. ვაჟმა არ იცოდა ეს და ბევრი უძახა, ეძება იქით-აქით, მაგრამ იმათი არც ასავალი ჩანდა და არც დასავალი. ვაჟი დაღონდა და უნდოდა საძებრათ გაკრილიყო, მაგრამ მოაგონდა მამის ნათხოვარი და თავისი პირობა და შინ დარჩა.

დებს თანდათან გადაეჩვია, მაგრამ მარტო-მარტო იყო, საქმელს აღარ ხარშავდა და კერა ისე მხიარულათ აღარ გუზგუზობდა, თუმცა თფილი კი იყო. თვითონ ტყეში დადიოდა და კრიპუკითა და ტყის ხილით იკვებებოდა. შრინვლები და ნადირნი არ უფრთხოდნენ, რადგანაც არ ხოცდა და შეეჩვიენ. ვაჟი შეეჩვია იმათი ლაპარაკის გაგებას და ხშირათ სტკბებოდა შრინვლების კიკიკ-გალობით. შრინვლებს კი იმისი ენა არ ესმოდათ.



ერთ დღეს ვაჟი ჩვეულებრივ ტყეში კუნძულებზე დასჯდა ყური მოკრა ორი იადონის მუსაიფს. ერთი ეუბნებოდა მეორეს:




— ჩემო კარგო, შენ ზარაბიბილის ხელმწიფის ქალივით ნაზი და მშვენიერი ხარ...

— ოჰ, რას ამბობ, — მიუგო მეორემ, — ზარაბიბილის ხელმწიფის ქალისთანა როგორ ვიქნები; ის ცას ქვეშეთში ყველას უნაზესი და უმშვენიერესია.

— მას ქვეშეთში მარტო შენ ხარ იმისთანა და რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეგობარი ხარ, თორემ მეც, აი, ისე დაღონებული და უბედური ვიქნებოდი, როგორც ის ორფეხა უფრთოა, აი, იქ კუნძუზე რომ ზის.

ვაჟი წამოხტა, უნდოდა ამბავი გამოეკითხა, მაგრამ ფრინველები ბედნიერები იყვენ — იმისი სურვილი ვერ გაიგეს და



გაფრინდენ. **მ**აჟს მოუხდა **ზ**არაბიბილის ხელმწიფის მშვენიერი ქალი მისი მეგობარი გამხდარიყო, მაგრამ სად და როგორ ეპოვნა? წასულიყო საძებრათ, ვაი თუ კერა გამქრალიყო. **ბ**ევრ ყოყმანსა და ფიქრს შემდეგ, გადასწყვიტა მიეტოვებია ქონიცი, კერაც და გაქრილიყო საპოვნელათ; შეეტყო, ვინ და სად იყო **ზ**არაბიბილის ხელმწიფის ქალი.

ბაუდგა გზას. **ბ**ევრი იარა. **ბ**ადაიარა მთა და ბარი და შევიდა ერთ უდაბურ ტყეში. **ღ**აიქანცა. **ს**აშინლათ მოსწყურდა, მაგრამ წყალი არსად ჩანდა. **ი**რგვლივ სიჩუმე იყო, ჩამი-ჩუმე არსაიდან ისმოდა; ხეების ფოთლებიცი კი არ ინძრეოდა, თითქოს რაღაცას, ან ვიღაცას შეეკრა ყველაფრის მოძრაობა და ყველაფერი გაეჩერებია.

შცებ ბაკა-ბუკი მოისმა. **მ**აჟმა მიიხედა და გაკვირდა; მომავალი ყვავილი დაინახა. **შ**ვავილს კაცის ხელები ქონდა, სურა ეჭირა და ნელ-ნელა მოდიოდა ბილიკ-ბილიკ. **ა**უჩქარებლათ მივიდა ერთ უზარმაზარ ცაცხვთან და დაუკაკუნა. **ც**აცხვის გული გაიხსნა და რაკრაკით წამოვიდა ანკარა წყალი. **ბ**ანცვიფრებულმა ვაჟმა ვერც კი მოასწრო ეთქვა რამ, რომ ყვავილმა ნიტრა მიუშვირა, აავსო, ხე ისევ დაიხურა და ყვაველი უკანვე გაბრუნდა თავის გზით.

მაჟი გამოუდგა, დაეწია და შესთხოვა:

— **შ**ვავილო, თუ ღმერთი გწამს, ერთი წყალი დამალევიე!

— **მ**ერ დაგალევიებ, — მიუგო ყვავილმა, — ჩემი ქალბატონი გაიგებს და გამიჯავრდება.

— **მ**აჟი შეეხვეწა: **წყ**ურვილით ვკვდები, **შ**ორის ქვეყნიდან მოვდივარ და, აბა, ქალბატონი რას შეიტყობს! სურა გაავსე და ისევ სავსე წაიღე.

შვავილმა გაიღიმა და უთხრა: **მ**აჟან დევის ბძანებით ცაცხვი მხოლოდ ერთ სურა წყალს იძლევა დღეში ქალბატონისთვის. **მ**აგრამ ბოლოს შეებრალა და დაალევია.

შინ რო მივიდა, ქალბატონმა კითხა:

— **წყ**ალი ვის დაალევიე?

— **მ**რთ ყმაწვილ კაცს, **ა**დამის შვილს. **ი**სე შემეხვეწა, რომ ველარ გავაწბილე.



— წადი, აქ მომგვარე, იქნება ჩემი ძმა იყოს, — სთქვა ქალბატონმა.

— შეავილი დაბრუნდა ტყეში და წაიყვანა ვაჟი დედის სასახლეში, რომელიც ტყის შუაგულ გადაჭიმულ უშველებელ მიდორში იდგა. ვაჟი მართლაც ქალბატონის ძმა გამოდგა. ორსავე ძალიან გაუხარდა ერთმანეთის ნახვა და დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს. ბოლოს დამ უთხრა:

— რისთვის მოხვედი, საყვარელო ძმაო? ჩემის ქმრის შიშით ამ ქვეყანას ფრინველსაც კი ვერ გაუჭაჭანია და ვაი, თუ შენც შეგჭამოს.

ვაჟმა უამბო ჩიტების ნალაპარაკევი და დაუმატა:

— მე ახლა იმ ზარაბიბილის ხელმწიფის ქალს ვეძებ. იქნება იცოდე, სად არის? თუ მართლაც ისე მშვენიერია, მინდა მეგობრათ გავიხადო, ცოლათ შევიერთავ. მომწყინდა მარტო ცხოვრება.

— მე არ ვიცი, მაგრამ იქნება ჩემმა ქმარმა იცოდეს
მოდის, დაგმალავ და, შეიძლება, მოვახერხო, რომ დაგეხმაროს
კიდევაც. შემის მოსატანათ წავიდა და საცაა, მოვა.

მართლაც, არ გასულა დიდი დრო, გამოჩნდა ძაჟან დევი.
მხარზე ვეება ხე ქონდა გადებული, მოდიოდა და იმისი სიმ-
ძიმით დედამიწა ირყეოდა. ხე ეზოში დაავდო და სახლისკენ
გამოსწია. შემოდგა თუ არა ფეხი კარებში, მაშინვე ცხვირი
მაატრიალ-მოატრიალა, დასუნა იქაურობას.

— აქ რაღაც ადამიანის სუნი დგას,—სთქვა დევმა.

— აბა, ადამიანის სუნს აქ რა უნდა? შინ მოვიდოდა,
როდესაც შენი შიშით დედამიწაზე ჯინქველას ვერ გაუვლია
და^აცაში ფრინველს!

— არა, ადამიანის სუნია. მე თვითონ მოვნახავ,—სთქვა
ძაჟან დევმა და გასწია საქებრათ. ცოლს შეეშინა, გამოუტყ-
და ქმარს და შეეხვეწა:

— ჩემი ძმაა და ნურას ავნებ.

— თუ შენსავით თეთრ-ყირმიზი და ხუჭუქ-თმიანია, შენი
ძმა იქნება, შევიყვარებ და შევიტკობ კიდევაც, თუ არა და—
ვახშმათ გამომადგება.

დამ გამოიყვანა ძმა. ძაჟან დევმა შეხედა თუ არა, მა-
შინვე გადაეხვია, გადაკოცნა და კითხა:

— მითხარი, რა საქმე გაქვს და შენთვის არაფერს დავზოგავ.

ვაჟმა უამბო, რისთვისაც იყო მოსული.

— მე, მართალია, არაფერი ვიცი, მაგრამ ჩემს ქვეშევ-
რდომებს ეცოდინებათ,—უთხრა დევმა, აიღო ჩაქუჩი და სამ-
ჯერ შემოკრა სასახლის სვეტს. არ გასულა ხუთი წუთი, რომ,
რაც ქვეყანაზე ყვავილია—დიდი თუ პატარა,—ყველამ სასახ-
ლის წინ მოიყარა თავი. მორბოდენ სიცილ-კისკისით ჯგუფ-
ჯგუფათ, ცალ-ცალკე, მოხტუნავ-მოთამაშობდენ, მოდიოდენ
დინჯათ და დარბაისლურათ. მოწიწებით მისცეს ათასფერი
სალამი თავიანთ ბატონს და ელოდენ, რა ბრძანება იქნებოდა.

— ჰეი, თქვენ რა იცით ზარაბიბილის ხელმწიფის ქა-
ლისა?—ბძანა დევმა.



დაღონებულმა ყვაილებმა თავი ჩაქინდნენ—არაფერი არ იცოდნენ და არც გაეგონათ ამ ქალის ამბავი. სირცხვილით კიდევ უფრო გავარვარდნენ.

— მოჰ, მე არაფერი ამომიკითხავს მაგ ქალისა დედა ჩვენის მიწის გულში.

— მოჰ, არც მე, არც მე,—ეჩურჩულებოდნენ ისინი ერთმანეთს ყურში.

თავისი გულის ტკივილი გადასცეს ბალახს, ბალახმა—ხეებს, ხეებმა—ფურცლებს და ერთ წუთს შეიძრა ტყე,—გამხიარულდა და და ახმაურდა.


ჰაჟან დევმა გააქნია ხელი და ყველაფერი ისევ ჩაჩუმდა და დაღონდა. ზულნაწყენი დარჩა თვითონაც, გამოიძრო რკინის ბეჭედი, აჩუქა ვაჟს და უთხრა:

— რასაც დაკეტილს დაადებ, მაშინვე გაიღება. წაიღე, იქნება გასაქირში გამოგადგეს.

ღამ ურჩია მეორე დასთან—შველვეშაპის ცოლთან—წასულიყო, იმას ეცოდინება და დაგეხმარებაო.

ჰაჟი გამოეთხოვა სიძესა და დას და გზას გაუდგა. ბევრი იარა. ბადაიარა მთა და ბარი და მიადგა ზღვას. დაიქანცა. წყალი მოსწყურდა და მოშვიდა. ჩამოჯდა ქვაზე და გასცქეროდა ზღვის ტალღების თამაშს, თანაც ფიქრობდა, სად და როგორ ეპოვნა თავისი და. ამ დროს დაინახა, რომ ერთ ტალღასთან გამოცურდა ერთი მშვენიერი ფირუზის ფრათ მოსილი და მწვანე თვალ-წარბა თმიანი ქალი, დაჯდა ნაპირას და მშვენიერი ხმით მორთო სიმღერა. ისე საუცხოოთ მღეროდა, რომ ვაჟს ყველაფერი გადაავიწყდა ქვეყანაზე. მს სიმღერა ჩიტების გალობაზედაც უმშვენიერესი იყო, ნიავის ქროლვაზეც უფრო ნაზი და სასიამოვნო.

— უთუოდ ეს იქნება ზარაბიბილის ხელმწიფის ქალი,— გაიფიქრა გაზარებულმა ვაჟმა და, ის იყო, უნდა მისულიყო მასთან, რომ ქალი თვითონ ადგა და გაცელებული ვაჟი პირდაღებული კი დარჩა: ფეხების მაგივრათ ქალს უშნო თევზის კუდი ქონდა და ამ კუდით უშნოთ მიხობავდა სილაზე. მიხობ-



და დიდ ქვასთან და დაუკაკუნა. ძვის გული გაიხსნა და ანკარა წყალი გადმოკამკამდა. ქალმა გაავსო სურა, ქვა დაიხურო, თევზ-ქალამ გასწია ზღვისკენ; ამ დროს წამოეწია ვაჟი და სთხოვა:

— მშენიერო თევზ-ქალავ, წყალი დამალევიე, ვკვდები წყურვილით.



— არა, — უთხრა ქალმა, — ვერ დაგალევიებ, ჩემი ქალბატონი — ზველვეშაპის ცოლი — გამიწყრება.

— წამიყვანე შენს ქალბატონთან, — შეეხვეწა ვაჟი.

— არა, ისევ წყალს დაგალევიებ და წაყვანით კი ვერ წაგიყვან; ვერ ჩავდგები შენს ცოდვაში.

მაჟმა დალია წყალი და ისევ ზღვის პირათ დაჯდა. იცოდა, რომ და, როცა ნახავდა ნაკლულ სურას, მიზეზს იკით-



ხავდა და მის წასაყვანათ ვისმე გამოგზავნიდა. მართლაც, ჩქარა გამოჩნდა ისევ მშვენიერი ქალ-თევზა კობია — სადაღის ნავით და მიიწვია ვაჟი, ჩაისვა შიგ და წაიყვანა დასთან, ზველვეშაპის სასახლეში, რომელიც ზღვის ფსკერზე იყო აშენებული თეთრი მოელვარე სადაფისაგან. ღას ძალიან გაუხარდა ძმის ნახვა. ზვერი კოცნა, მაგრამ ბოლოს კითხა:

— რამ მოგიყვანა, საყვარელო ძმაო, აქ? საცაა ჩემი ქმარი, ზველვეშაპი, მოვა. იმის შიშით ჯინჭველსაც კი ვერ გაუჭაქანია და ვაი, თუ შეგჭამოს.

— ასე და ასეა ჩემი საქმე და უნდა დამეხმარო. ზარაბიბილის ხელმწიფის ქალს ვეძებ. ის არის ცას ქვეშეთში ყველაზე ნაზი და ლამაზი, და მინდა მეგობრათ გავიხადო. მომწყინდა მარტო ცხოვრება.

ღამ დამალა ძმა, მაგრამ, შემოვიდა თუ არა ზველვეშაპი, მაშინვე იგრძნო ადამიანის სუნის.

— მინ იქნება ადამიანი, — უთხრა ცოლმა, — შენი შიშით ვერა სულიერს ვერ გაუჭაქანია აქ და, აბა, ადამიანს რა მოიყვანდა!

— მე თვითონ ვიპოვი; — სთქვა ზველვეშაპმა და გასწია. მაშინ ცოლი გამოუტყდა:

— ჩემი ძმა და შენთან დიდი სათხოვარი საქმე აქვს.


— თუ შენსავით ტანადი და ხმა ტკბილია, შენი ძმა ყოფილა და შევიტკობ კიდევაც, თუ არა და — ვანშმათ გიახლები.

ღინახა თუ არა ზველვეშაპმა და დაელაპარაკა, მაშინვე გადაკოცნა, გვერდით დაისვა და ამბავი გამოკითხა.

— მე არაფერი გამიგონია, მაგრამ ჩემს ქვეშევრდომთ ეცოდინებათ, — სთქვა მან და მაშინვე გასძახა:

— სირინოზ!

იმ წამსვე იქ დაიბადა მწვანე ქალ-თევზა. ზველვეშაპმა უბძანა, შეეკრიბა ზღვით საბძანებელი. ძალი იმ წამსვე ჩაჯდა მწვანე ტალღაში, გაქანდა ზღვაზე და მორთო წკრიალა ხმით თავისი წარმტაცი სიმღერა. სიმღერის ხმაზე იწყეს დენა ზღვის ცხოველებმა, მიცურდა რაც თევზი, კიბო, თუ ცხრაფეხა იყო, აღარ დარჩა არც ერთი, რომ იქ არ მისული-



ყო ცქრიალითა და რხევით. მდაბალი სალამი მისცეს თავის ბატონს და ელოდენ ბძანებას. ზველვეშაპმა შესძახა:

— აბა, ვინ მეტყვის ზარაბიბილის ხელმწიფის ქალის ამბავს? მაგრამ ზარაბიბილის ხელმწიფის ქალის ამბავი არავინ იცოდა. ზღვათა სამეფოს მცხოვრებთ არა სმენიათ რა იმის სიმშვენეირისა. ღლონდა დიდათ ზველვეშაპი.


მაჟი გამოეთხოვა დასა და სიძეს. ზამოთხოვებისას ზველვეშაპმა აჩუქა ერთი მარჯნის და ერთი ფირუზის მძივი და უთხრა:

— თუ მარჯანს ამოიდებ ენას ქვეშ, მარჯნის ფერ ტანი-სამოსში გამოეწყობი და ისეთ სიმღერას გამღერებს, რომ ქვა-საც კი გააცინებ და ხეს აცეკვებ. თუ ფირუზს,—ქვასაც კი აატირებ და ხეს დააღობობ. წაილე, იქნება გაჭირვებაში მოგეხმაროს.

ღამ კი ურჩია წასულიყო მესამე დასთან—**მ**რბის ცოლთან.

მაჟი გაუდგა გზას მესამე დის საძებრათ. ზვერი იარა. ზადაიარა მთა და ბარი და მიადგა ერთ უზარმაზარ კლდეს. **მ**რბს ამ კლდის წვერზე, ნაპრალში, ქონდა სასახლე და იქ ცხოვრობდა. მაჟმა არ იცოდა ეს—და დაჯდა დასასვენებლათ. ამდროს მოფრინდა ერთი უცნაური ფრინველი, ფრთაზე სურა ქობნა შედგმული. მიფრინდა კლდის ძირას და კლდეს ფრთა შემოკრა. ანკარა წყალი გადმოკამკამდა კლდიდან, სურა აავსო და ის იყო, უნდა გაფრენილიყო, რომ ვაჟმა ხელი სტაცა და სთხოვა, დასთან წამიყვანეო. ფრინველმა დაიწყო კვილი და ცთილობდა თავი დაელწია. მაშინ ვაჟმა სურა მოსტაცა, წყალი დალია და ნაკლული სურა ფრინველს დაუბრუნა. ახლა კი დარწმუნებული იყო, რომ და გამოგზავნიდა ვისმე მის წასაყვანათ და დამშვიდებით დაიწყო ლოდინი. მართლაც, არ გასულა ხუთი წუთი, რომ **მ**რბი თვითონ მოფრინდა, გადაკოცნა ვაჟი და წაიყვანა თავის სასახლეში. ღამამ სიყვარულით გადაკოცნეს ერთმანეთი.

— ძალიან მიამა, — უთხრა **მ**რბმა ცოლს, — რომ შენსავით შეგ-თვალა და ფეხ-მარდია, თორემ ვახშმათ მივირთმევედიო. — რისთვის გარჯილხარ, საყვარელო ცოლის ძმავ? — კითხა ვაჟს.




— ასე და ასე ჩემი საქმე. ზარაბიბილის ხელმწიფის ქალისთვის გამოვიჭერი. ისეთი ნაზი და მშვენიერია, რომ კერაც კი მივატოვე იმის გულისათვის. შეძებ, მინდა მეგობრათ გავიხადო, რომ მეც იმ იადონივით ბედნიერი და მხიარული ვიყო. მომწყინდა მარტო ცხოვრება.

— არა მსმენია რა, — სთქვა ორბმა, — მაგრამ ახლავე შემოვკრებ ჩემს ქვეშევრდომთ და იმათ უთუოდ ეცოდინებათ.

იმ წამსვე მოტრიალდა, ფრთა-ფრთას შემოკრა და გაკივლა ჰაერში.

იწყეს დენა ფრინველებმა. იმათმა სიმრავლემ მზე დააბნელა, ხმაურობამ და ფრთების შრიალმა ჰაერი მოიცვა. არ დარჩა არც ერთი, რომ არ მოფრენილიყო. ღიდი, პატარა, მგალობელი და არა მგალობელი. მდაბალი სალამი მისცეს ბატონ ორბს, მაგრამ ზარაბიბილის ქალის ამბავი არავინ იცოდა.



შაყი დალონდა. დალონდა ორბიც, რომ ვერ ასიამოვნებდა საყვარელ ცოლის ძმას; მაგრამ ამ დროს აჩქარებით მოფრინდა გვრიტი.

— სად იყავი, გვრიტო, ამდენ ხანს? როცა მე გიძახი, განა უნდა დაიგვიანო? — უსაყვედურა ორბმა.

— შაპატიე, ჩემო ბატონო, ფერიებმა ზარაბიბილის ქალი გამოიყვანეს გასართობათ და თვალი ველარ მოვაშორე იმის სიმშვენეირეს.

— მეც სწორეთ იმ ქალის ამბავის გაგება მინდოდა, — უთხრა ორბმა, — დაიცადე, აი, ეს ვაყი წაიყვანე და აჩვენე, სადაც ცხოვრობს ის ქალი.

შაყი გამოეთხოვა დასა დასიძეს. ზამოთხოვებისას ორბმა გამოიძრო ერთი ფრთა, აჩუქა ვაჟს და უთხრა: **თუ** ქულში გაიჩქობ, სადაც გინდა — ავაფრენს. **წაიღე**, გაჭირვებაში გამოგადგებაო.

შაყი გაყვა გვრიტს.

იარეს, იარეს; გადაიარეს მთა-ბარი და მიადგენ ერთ თვალუწვდენელ მწვანე მიდორს. შუაგულ მიდორში სულ ცამდი ამართულოიყო მზით გაბრწყინვებული ბროლის კოშკი. გვრიტმა დანახა და უთხრა:

— აი, ამ კოშკთან საღამომდი დაიცადე და თვითონ ნახავ ქალსო.

კოშკს გარს ქვის კაცების გალავანი ერტყა. შოველ კაცს ხელში ქვის ცუღლი ეჭირა და წინაც ქვის კუნძი ეგდო. მხოლოდ ერთ ადგილას, გალავნის შეთავებას, აკლდა ერთი ქვის კაცი. შაყმა ბევრი უტრიალა კოშკს, მაგრამ ვერას ვახდა, კარი არსაიდან ჩანდა. ჩამოჯდა კუნძზე და დაიწყო ლოდინი. ზალავანს ერთი დედაბერი მოადგა. შაყს გაუხარდა ადამიანის დანახვა და უნდოდა მიგებებოდა დედაბერს, მაგრამ დედაბერი ტირილით მივიდა ერთ ქვის კაცთან და დიდხანს ეალერსებოდა და კოცნიდა გულამოსკენით მტრალი. შაყმა კითხა:

— რა გატირებს, დედავ, ან ეს რა ქვის კაცებია, ან ამ კოშკში როგორ უნდა შევიდეს კაცი?




— ეს ქვის კაცები შენსავით კაბუკებია. აი, ეს ჩემი შვილია. შეველა ზარაბიბილის ხელმწიფის ქალმა გააქვავა.

— გააქვავა? რისთვის?—იკითხა შემკრთალმა ვაჟმა.

— რისთვის? ისინიც იმისთვის მოვიდნენ, რისთვისაც შენ მოხვედი და, აი, ხომ ხედავ, იქ ერთი ქვა-კაცი აკლია, ისიც შენ იქნები, თუ ახლავე არ წახვალ შინ.

— ოჰ, არა,—მიუფო ვაჟმა,—შინ ვერ წავალ, თუ ზარაბიბილის ხელმწიფის ქალი არ წავიყვანე. მე მარტოს, სულ ერთია, მაინც გამიქრება კერა და უბედური ვიქნები.

— მაშ, თუ არ დაგიშლია, ორი დღე და ღამე აქ უნდა დარჩე კოშკის ძირას; მესამე დღეს, გათენდეს თუ არა და ამო-



აშუქოს მზის პირველმა სხივმა, იმ ბორცვზე შედექი, დაგინახე ვენ და გამოგიგზავნიან სანთლის ცულდს და რკინის კუნძს, და ეს კუნძი უნდა გაკვეთო. **თუ** გაკვეთ, ცოლათ გამოგყვება, თუ არა და როგორც დაკრავცულდს, ქვათ გადიქცევი. **ღედაბერი** წავიდა.

მზე გადიწვერა. **საღამომ** მოატანა. **იქაურობა** გაბრწყინვებული იყო დამავალი მზის შუქით. **შეებ** ჰაერი გაკვეთა რაღაც სასიამოვნო წკრიალა ხმამ. **ქოშკის** წვერში გაიღო კარები და ოთხმა ჰაეროვანმა ფერიამ ოქროს ტახტრევანით გამოიყვანა ოქროს გვირგვინითა და ყვავილებით მორთული ტურფა, მშვენიერი ქალი. **ტახტრევანი** დადგეს მწვანეზე. **დაიჭირეს** მზის სხივები, გამოაბეს ცის კამარას და გააკეთეს საქანელა. **ბრწყინვალე** საქანელაზე შესვეს ქალი და ოთხმავე ფერიამ, მწყობრათ ორ-ორმა, იქით-აქით გააქანა ქალი. **ჭალი** ქანაობდა და იცინოდა და ყოველ იმის გაცინებაზე მიდორში ამოდიოდა საუცხოო ხეები; მოფრინავდენ ფრინველები, სხდებოდენ ხეებზე და ვალობდენ; თამაშით მობობდენ ათასნაირი ყვავილები; მონარნარობდენ ტურფა პებლები; მოცუნცულობდენ ყურდგლები და დახტოდენ ქინკები. **ჭალი** კი ქანაობდა და იცინოდა. **ბოლოს** გადმოხტა და თვითონაც იწყო ყვავილთა შორის სირბილი, ცეკვა-თამაში და ხტუნაობა. **პებლები**, ყურდგლები და ჩიტები დასდევდენ და ეთამაშებოდენ. **ჭალი** იხუტებდა გულში და ეალერსებოდა ჩიტებს და ყურდგლებს. **ბოლოს** ქალი, სრულიად მხიარული, გაჩერდა ვარდის ბუჩქთან და ყველას გამოეთხოვა. **ფერიებმა** ჩასვეს ტახტრევანში და ააფრინეს კოშკში. **მიიხურა** თუ არა კოშკის კარი, მზე მიიმალა, წალკოტი და ყვავილები გაქრა. **ღარჩა** უწინდებურათ მწვანე მიდორი. **ბანცვიფრებული** ვაჟი იდგა ერთ ადგილას უძრავათ, აღტაცებული.

ჭალის სიყვარული გულში ჩაექრა, მაგრამ როგორ მოეხერხებია იმის ცოლათ შერთვა?


ღალამდა. **სავარსკვლავებით** მოიქედა. **ვაჟმა** **მრბის** ფრთა ქულში გაიბჟო და მაშინვე აფრინდა კოშკის წვერთან, საი-



დანაც ფერიებმა მზეთ უნახავი გამოიყვანეს. **ქარი დაკეტილი იყო.** შაჟმა დაადგა რკინის ბეჭედი, კარი გაიღო და შევიდა დიდ სარეულ დარბაზში, მაგრამ მეორე ოთახში გასასვლელი კარიც დაკეტილი იყო; ისიც ბეჭდით გააღო. **ახლა მესამე კარი იყო დაკეტილი.** სულ ცხრა კარი იყო დაკეტილი; ცხრავე გააღო. **ცხრაკლიტულში,** დიდი დარბაზის შუა გულს, ოქროს ტახტზე, თოვლივით თეთრ ბუმბულში იწვა ქალი და ტკბილათ ეძინა. **იმის დანახვაზე** ვაჟს სიმღერამოუნდა. **მაშინვე** ჩაიღო პირში მარჯანი და დაიწყო სიმღერა, ისეთი მშვენიერი, სასიამოვნო, რომ მიძინარე ქალს ღიმი მოგვარა. **ამ ღიმილმა** კიდევ უფრო დაამშვენა ისედაც მშვენიერი ქალი. **ღიდ ხანს** უმღერა ვაჟმა და ბოლოს გადმოტრინდა კოშკიდან.

მეორე დღეს ვაჟი საღამომდი ელოდა.





სალამოს ფერიებმა ქალი ისევ გადმოიყვანეს. შუშინდელი ვით დღესაც გააბეს მზის სხივის საქანელა, ათამაშეს, გაართეს და ისევ ააფრინეს კოშკში. ღალამდა თუ არა, ვაჟმა ისევ გაირქო ფრთა ქუდში და გუშინდელივით შეფრინდა კოშკში, გააღო ცხრაკლიტული და შევიდა მძინარე ქალთან. ქალი ისევ ისე იწვა ოქროს ტახტზე, თეთრ ბუმბულებში. ვაჟმა ჩაიდვა პირში ფირუზი, გამოეწყო ფირუზის ფერ ტანისამოსში და უმღერა ქალს საოცარი სიმღერა. ისე მშვენიერათ და გრძნობიერათ მღეროდა, რომ ქალს თვალთაგან მარგალიტის მსგავსი ცრემლები გადმოცვივდა. ღიდხანს უმღერა ვაჟმა, ბოლოს ველარ მოითმინა და თავაზიანათ სალაღი მისცა ქალს.

ქალს გაეღვიძა, გახარებულმა გაუწოდა ხელები ვაჟს და კითხა.

— რისთვის მოხვედრი?

— შენთვის, — მიუგო ვაჟმა. — მინდა ჩემს ქოხში წაგიყვანო. შენ ისე მშვენიერი ხარ, რომ მინდა შენთან ბედნიერი ვიყო. მომწყინდა მარტო ცხოვრება.

— წამოგყვები, მაგრამ მამა რომ არ გამომიშვებს?!

— ოჰ, ნუ იტყვი მაგას. თუ შენ არ გამოგიშვებს, მე მოვკვდები და კერაც გამიცივდება...

— არა, არა, წამოგყვები. ისე მშვენიერათ მღერი, ისეთი შავი თვალები გაქვს... ღილ, წამოგყვები და გავაჩალოთ კერა... მაგრამ, აი, ჩემი თმა. ხვალ, როცა მამა გამოგიგზავნის რკინის კუნძს და სანთლის ცულდს, ერთსაცა და მეორესაც მოუსვი თმა — და კუნძი სანთლათ გადაიქცევა, ცულდი — რკინათ და ადვილათ გაკვეთ. გახარებულმა ვაჟმა გამოართვა თმა და წავიდა.

ღილით, ამოაშუქა თუ არა მზემ, ვაჟი გავიდა ბორცვზე. მაშინვე ოთხმა ფერიამ ჩამოუტანა რკინის კუნძი და სანთლის ცულდი. ვაჟმა ორსავე მოუსვა ქალის თმა, დაკრა ცულდი და გაკვეთა კუნძი. გაკვეთა თუ არა, ფერიებმა იმ წამსვე გამოიყვანეს მშვენიერი ქალი და ვაჟს გვერდით დაუსვეს. თვითონ ფერიები კი აფრინდნენ კოშკის თავზე და დაუკრეს საყვირი. ქვის კაცები შედრკენ, შეთრთოლდნენ, თავი გააქნიეს და — თითქო ღრმა ძილისაგან,



გამოიღვიძეს, ყველა გაცოცხლდა. ^{შველა ახალგაზრდა} ^{ნაყვასტ} იყო. ამ დროს კოშკის აივანზე გადმოდგა გრძელწვერა მოხუცი, ზარაბიბილის მეფე. ზვერდით უდგა დედოფალი. მეფემ ყველას სალამი მისცა და ქორწილში მიიწვია. პირველ ადგილას, რასაკვირველია, ქალ-ვაჟი დასვეს. სტუმრები ემატებოდნენ და ემატებოდნენ. ^{ქორწილი} გაჩაღებული იყო, რომ ვაჟის დები და იმათი ქმრები — ^{ქაჯან} დევი, ^{ბველვეშაპი} და ^{მრბი} მოვიდნენ.

მოხუცი მეფე ბვერი ეხვეწა ვაჟს, რადგანაც ერთი ქალის მეტი შვილი არ ყავდა, დარჩენილიყო და მის სიკვდილს შემდეგ ზარაბიბილის ქვეყნის მეფეთ გამხდარიყო, მაგრამ ვაჟი არ დაეთანხმა.

და გადასწყვიტა ქორწილს შემდეგ წასულიყვენ თავის ქოხში და კერა ისევ გაეჩაღებიათ.

— მე მინდა ჩემს ქოხში ჩემს კერასთან ვიყო ბედნიერი, — სთქვა ვაჟმა.



ქუთათური ამხანაგობის გამოცემანი:

	ფასი
1. სურათები ჩვენი ხალხის სხოვრებიდან ღუტუ მეგრელისა . . .	6 შ.
2. მწირი ლერმონტოვისა თარგ. ვ. აბაშიძისა	2 შ.
3. სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ . . .	6 შ.
4. ვილჰელმ ტელი შილერისა, თარგმ. ი. სანებლიძისა	3 შ.
5. ბურგენ რაინდი (ლეგენდა) ცახელისა	6 შ.
6. თხზულებანი ბ. წერეთლისა ტომი I	3 აბ.
7. " " " II	3 აბ.
8. " " " III	14 შ.
9. ჰაერი და სითბო შივოტოვსკისა, თარგმ. გ. შარაძისა	3 შ.
10. საქართველოს ისტორია ს. ბარათაშვილისა , თარგმანი სილ. ხუნდაძისა რვ. I	6 შ.
11. " " " II	6 შ.
12. " " " III	2 აბ.
13. „ზვიმა“, გადმოკეთებული დ. ჭიფანის მიერ	2 შ.
14. დედა-შვილის თავგადასავალი დ. ამიჩისისა	3 შ.
15. ლექსები მამია ბურიელისა	1 მ.
16. აკიდო ი. ბოგებაშვილისა	3 შ.
17. თხზულებანი ბ. აბაშიძისა	3 აბ.
18. ზღაპრები ძმ. ბრიმებისა, თარგმანი	3 შ.
19. პაწია და ბუნგლია, თარგმ. დ. ავალიანისა	5 შ.
20. ჯიანეტა, თარგმ. ბ. ნიკოლაძის ასულისა	6 შ.
21. ლევან ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	2 შ.
22. ს. ბარათაშვილის საქართველოს ისტორია, რვეული III	2 აბ.
23. ზარა-ბიბილის ხელმწიფის ქალი, ნინო ნაკაშიძისა	6 კ.

წიგნის მადანაიეს, სამკითხველთა და სოფლის მსწავლეებებს
ამხანაგობა თავის გამოცემებზე 20 0/0-ს დაუთმობს.



115. 713

60

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ფანი 6 კანკიკი.



ქართული
ბიბლიოთეკა